ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარულ სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემასთან დაკავშირებით საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი N2

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტი 14 ნოემბერი 2024 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

ა) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე **დავით კვიციანი - კომისიის თავმჯდომარე;**

ბ) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი **გიორგი ჩიქობავა - კომისიის წევრი;**

გ) ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის უფროსი **ვასილ თოდუა - კომისიის წევრი.**

დღის წესრიგი:

1. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანასთნ დაკავშირებით კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენა.
2. კონკურსში გამარჯვებულების მიერ ნებართვის საფასურის გადახდის ვადის განსაზღვრა.

კომისიამ განიხილა:

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 16 ოქტომბრის N№42.42242902 ბრძანების თანახმად გამოცხადებულ კონკურსში, საკონკურსო განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია ქალაქ ფოთში, რეგულარულ სამგზავრო გადაყვანასთნ დაკავშირებით დადგენილ ვადაში, M2 კატეგორიაზე წარმოადგინა ინდივიდუალურმა მეწარმეებმა (6 ინდ/მეწარმე). კონკურსანტების მიერ საკონკურსოდ წარმოდგენილმა განაცხადმა და თანდართულმა დოკუმენტაციამ დააკმაყოფილა საკონკურსო პირობები და ინდივიდუალური მეწარმეები (6 ინდ/მეწარმე) დაშვებულ იქნა კონკურსზე. აღნიშნული გარემოება დადასტურებულია საკონკურსო კომისიის 2024 წლის 06 ნოემბრის №1 ოქმით.

კონკურსში მონაწილე ნებართვის მაძიებლების მიერ წარმოდგენილი ავტოსატრანსპორტო საშუალების დათვალიერება მოხდა სამუშაო ჯგუფის მიერ, ქალაქი ფოთი, დანელიას ქუჩა N39-ის მიმდებარედ, 2024 წლის 08 ნოემბრიდან 12 ნოემბრის ჩათვლით. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ინდივიდუალური მეწარმეების (6 ინდ/მეწარმე) მიერ წარმოდგენილმა ავტოსატრანსპორტო საშუალებებმა დააკმაყოფილა საკონკურსო მოთხოვნები, რაც დადასტურებულია ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის საჯარო მოსამსახურეებისაგან შექმნილი სამუშაო ჯგუფის, 2024 წლის 13 ნოემბრის №1 დასკვნით (იხ. დანართი).

კომისიამ დაადგინა:

1. ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის მიღებასთან დაკავშირებით გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდეს 6 ინდივიდუალური მეწარმე, კონკურსში გამარჯვებულებზე ქალაქ ფოთში, რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვა გაიცეს დანართი №1-ში მითითებული ინფორმაციის შესაბამისად.
2. აღნიშნული ოქმის გამოქვეყნებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში კონკურსში გამარჯვებული ვალდებულია ნებართვის გამცემს წარუდგინოს რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვის გაცემის 1 (ერთი) თვის ფასის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, წინააღმდეგ შემთხვევაში ნებართვა არ გაიცემა. ნებართვის მფლობელი ვალდებულია ნებართვის მიღებიდან, ყოველი მომდევნო თვის ნებართვის საფასური გადაიხადოს არაუგვიანეს მომდევნო თვის ბოლო დღისა.
3. საკონკურსო კომისიის აღნიშნული გადაწყვეტილება, გამოქვეყნდეს ვებ.გვერდზე **http://www.poti.gov.ge.**

კომისიის თავმჯდომარე: დავითი კვიციანი

კომისიის წევრები:

გიორგი ჩიქობავა

ვასილი თოდუა